№ 244. 3 დეკემბერი, შაბათი. 1866—1883 3 დეკემბერი, შაბათი. № 244.


# დროება

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . 5 მან. ერთის თვისა. . . 1 მან.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი



მიიღება ხელის-მოწერა

მომავალ 1884 წლისათვის გაზეთს

დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბულვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба».*

ფასი ხელის-მოწერისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| წლით (12 თვით) | — — 9 მან. | 6 თვით | — — 5 მან. |
| 11 თვით | — — 8 მ. და 50 კ. | 5 თვით | — — 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით | — — 8 მან. | 4 თვით | — — 4 მან. |
| 9 თვით | — — 7 მ. და 50 კ. | 3 თვით | — — 3 მან. |
| 8 თვით | — — 7 მან. | 2 თვით | — — 2 მან. |
| 7 თვით | — — 6 მან. | 1 თვით | — — 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი ფული ხელის-მომწერმა გაზეთის დაბარებისათანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

არწრუნის თეატრი.

კვირას, 4 დეკემბერს.

ბენეფისი

ბ. აწყურელისა, ქ. ანტონოვსკისა და სხვა მეორე ხარისხის აქტიორთა.

ქართული დრამატიული დასის ამხანაგობისაგან წარმოდგენილი იქნება

I

ალმზრდელები

კომედია 3 მოქმ. ა. მოჩხუბარიძისა.

II

პირველად

დილა ქორწილის შემდეგ

კომედია - ვოდევ. ა. მოჩხუბარიძისა.

III

ცოცხალი სურათები

დასაწყისი 8 საათზედ. (2—1)


თბილისი, 2 დეკემბერი.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ ტყეების მნიშვნელობაზე და მათ განადგურებაზე. ჩვენდა სასიამოვნოდ, საზოგადოებამ ცოტაოდენი ყურადღება მიაქცია ტყის საქმეს, და შეიძლება, გზა ურმის გარდაბრუნების შემდეგ გამოჩნდეს. ტყეების განადგურების მიზეზათ უნდა ჩაითვალოს, რასაკვირველია, მეპატრონეთა უცოდინარობა ტყის საქმისა, ალაგ-ალაგ უკაცობა, მაგალითად აბხაზეთში, ტყის მოხელეების დაუდევრობა და ზოგჯერ საქმის მრუდეთ წაყვანა და სხვ. და სხვ. ჩვენ გვინდა აქ ორიოდე სიტყვა ვთქვათ შესახებ ტყის მოხელეებისა, რომელთაც აბარია სახაზინო ტყეები და რომელსაც უპირველესად უნდა მოეკითხებოდეს ტყის საქმის რიგიანად წაყვანა. ტყის საქმის მოხელეები, თავიანთი დანიშნულების სინიდისიანად ასრულების მაგიერ, ხშირად სულ ერთიანად ღუპვენ საქმესა; თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მრავალი ტყე მათის წყალობით განადგურდა და დღეს, მდიდარი ტყის მაგივრად, ხრიოკი ადგილის მეტი არა დარჩენილა-რა. იმის განსამარტებლად, თუ რაოდენათ სინიდისიერად ეპყრობიან ზოგიერთნი თავიანთს მოვალეობას, დავასახელებთ იმ საქმეს, რომელიც იბეჭდება «იურიდიკულს მიმოხილვაში» და რომელიც ამ მოკლე ხანში განხილულ იქმნა სასამართლოში.

ერთს რუსულ გაზეთში დაბეჭდილია ძლიერ საფუძვლიანი წერილი შესახებ ტყის საქმისა ჩვენს მხარეში. წერილის ავტორი საბუთებით ამტკიცებს იმასა, თუ რაოდენს ვნებას აძლევენ ზოგიერთნი მოხელენი ხაზინას; ავტორი ამბობს, რომ ზოგნი მათგანი მიუხტებიან რომელიმე ტყის პატრონს, განდევნიან მას საკუთარი მამულიდგან და დავას გამოუცხადებენ, ესა და ეს ტყე ხაზინისააო. ზოგჯერ ტყესაც ჩამოართმევენ, მაგრამ მაგალითიც ყოფილა, რომ წართმეული ტყე სამართლისამებრ უბრუნდება ძველს პატრონს, მაგრამ სადაური ტყე? ტყის მაგივრად უბრალო ჩიქვები ეძლევათ. აი მაგალითაც: რვა წლის წინად ამალლების ტყეში (გურიაში) დაიარაღებული ტყის-მცველები შეუცვივდნენ კერძო მემამულეთა ტყეში, განდევნეს ეს უკანასკნელნი და ტყე სახაზინოთ აღიარეს; შვიდი წლის შემდეგ ამალლების ტყის მეპატრონეებმა კანონის ძალით დაიბრუნეს თავიანთი საკუთრება, მაგრამ ტყის მაგივრად მათ არა დახვედრიათ-რა. გარდა ამისა ავტორი მოგვითხრობს თ. ნაკაშიძეების და მთავრობის შორის დავის ისტორიას. ნაკაშიძეები დიდი ხანია,

«დროების» ფელტონი, 3 დეკემ.

## სიკვდილი ოლივიე ბეკაილისა

(მოთხრობა ემილ ზოლასი)

I

მე მოვკვდი შაბათს, დილის ექვს საათზე, სამი დღის ავად-მყოფობის შემდეგ. ჩემი ცოლი ის იყო ფათურობდა ჩემოდანში; ის უსათუოდ საცვალს ეძებდა. ბოლოს წამოდგა ფეხზე და, შემომხედა რა უსულოს, გაქვავებულს, თვალებ-გაღებულს, მოირბინა ჩემთან, დაიღუნა და თვალებში ჩამაცქერდა. ის უსათუოდ ჰფიქრობდა, რომ მე გული შემიწუხდა და ამისათვის ხელისმოკიდებისა არ ეშინოდა. მაგრამ ბოლოს იგი გაიტაცა შიშმა; მოჰყვა რაღაცას ბუტბუტს, და სტიროდა:

— ღმერთო ჩემო! აკი მომკვდარა?!.

მე მესმოდა ეს ყოველიფერი, მაგრამ თან მეჩვენებოდა, რომ ხმები ჩემთან შორიდამ მოდიოდენ. მხოლოდ ჩემი მარტოკა თვალი ხედავდა რაღაცა არეულს, მოთეთრო სიწითლეს, რომელშიაც სხვა-და-სხვა საგნები ირეოდენ. მარჯვენა თვალი კი სრულიად გაუქმებული იყო. ეს იყო რაღაცა ახირებული გაქვავება მთელის ჩემი არსებისა, რომელიც ჩამოგავედა მეხის მოქმედებას. ჩემი ნება გაჰქრა: არც ერთი ჩემი ნერვი არ მემორჩილებოდა; და ამ ჩემ განადგურების დროს, უძრავ ჩემ ასოებზე ნავარდობდა რაღაც უძრავი და ზარმაცი, მაგრამ სრულიად ნათელი აზრი. საბრალო ჩემი მარგარიტა, მუხლ-მოდრეკილი ჩემ საწოლ-წინ ქვითქვითებდა მწარედ და თან საბრალო ხმით იმეორებდა:

— მოჰკვდა! ღმერთო ჩემო! მოჰკვდა ჩემი ოლივიე!

მაგრამ ნუ თუ სიკვდილი იყო ეს უცნაური გაქვავება, ეს სხეულის სიდამბლით გაუქმება მაშინ, როდესაც გონება კიდევ მაინც მუშაობდა? ცოდვილს სულს ხომ არ დავვიანებია ჩემს კეფაში სამუდამოდ გაფრენის წინად? თვით ბავშობიდამ მე ვიტანჯებოდი ხოლმე ნერვების ავად-მყოფობით. პირველ ყმაწვილობაში საშინელმა ციებამ კინაღამ ბოლო მომიღო. მერე ყველა ჩემიანები მიეჩვივნენ ჩემს ავად-მყოფობას, ასე რომ მე თვითონ აღუკრძალე მარგარიტას მოეხმო ექიმი, როდესაც, თითქმის თვით ჩვენი პარიჟში ჩამოსვლის დღეს. მე გავხდი ავად ამ ოთახშივე, დოფინის ქუჩაზე. მე ვიმედოვნებდი, რომ ჩემთვის სრულიად საკმაო იქნებოდა ცოტა მოსვენება; ჩემს ავად-მყოფობას მე გზის დაღალულობას ვაბრალებდი. მიუხედველად ამისა, მე ვგრძნობდი ჩემს თავს თითქმის ზარ-დაცემულად. ჩვენ უეცრად დავტოვეთ პროვინცია და, როგორც მეტის-მეტად ღარიბ ხალხს, დიდის გაჭირვებით თუ გვეყოფოდა ჩვენი ფული პირველ თვის ჯამაგირის მოცემამდე ახალ სამსახურში, რომელზედაც მე პარიჟში გამაწესეს. და აი ამ დროს უეცრად კიდეც ამომხდა სული!

მაგრამ, არა, განა სიკვდილია ესა? მე მუდამ ვფიქრობდი, რომ სიკვდილს თან მოსდევდა უფრო ბნელი წყვდიადი, უფრო საშინელი მყუდროება. ჯერ თვით ყმაწვილობაშიც მე საშინლად მეშინოდა სიკვდილისა. მეტის-მეტად სუსტი ვიყავი და ვგრძნობდი, რომ ყველანი მეალერსებოდენ უფრო სიბრალულის გრძნობით, რადგანაც დიდის ხნის სიცოცხლე არა მქონდა და მალე უნდა ჩავსულიყავი ბნელ სამარეში. ეს აზრი მუდამ მტანჯავდა, რადგანც, მიუხედველად მისა, რომ დღე და ღამ თვალ წინ მიდვა იგი, მაინც ვერ შევეჩვიე. როცა წამოვიზარდე, ეს ფიქრი ხომ სულ მოსვენებასარ მაძლევდა. ხან-და-ხან, ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ, მომეჩვენებოდა, რომ დავსძლიე ჩემს შიშს. რაა მერე—მოვკვდები და ის იქნება; ყველა ხომ უნდა მოკვდეს ადრე, თუ გვიან; ეს უმჯობესიც იქნება. ამისთანა წამებში მე კიდეც გავმხიარულდებოდი ხოლმე და უშიშრად ვუყურებდი სიკვდილს თვალებში. მაგრამ მერე რაღაც ცივი ჟრუანტელი უეცრად დამივლიდა ტანში და თავი დამიწყებდა ბჟუილს, თითქო უხილავი მარჯვენა მაქანებდა შავს უფსკრულზე. ეს ფიქრი, ფიქრი ბნელ სამარეზე, იბადებოდა კვლავ და აქარწყლებდა ყველა საბუთებს. ღმერთო, რამდენჯერ წამოვარდნილვარ ღამე შიშით და რამდენჯერ რაღაც უძლეველს ძალას განუდევნია ჩემგან ძილი. მე სასოწარკვეთილებით ვიმტვრევდი ხელებს და ვბუტბუტობდი.

— ღმერთო ჩემო! ღმერთო ჩემო! აუცილებელია სიკვდილი! მწარე მოლოდინი მიწყლულებდა გულ-გვამს; სიკვდილის აუცილებლობა საზიზღარ რამედ მეჩვენებოდა. დილის წვალებით დავიძინებდი ხოლმე ხელ-ახლად; ძილი სდევნიდა ჩემგან მოსვენებას—ისე ჩამოგავდა იგი სიკვდილს. რა ვქნა, ვფიქრობდი მე, რომ დამეძინოს საუკუნოდ? დავხუჭავ თვალებს და აღარ გავახელ საუკუნოდ!

არ ვიცი, გამოუცდიათ სხვებს ეს ტანჯვა ოდესმე? მე კი მომიწამლა მთელი სიცოცხლე. სიკვდილი ჩადგა

რაც ფლობდნენ ერთს ტყესა; ქუთაისის გუბერნიის ყოფილი გუბერნატორის ბრძანებით ბ. იონოშა, თანაშემწე ოზურგეთის მაზრის უფროსისა, შევიდა ნაკაშიძეების ტყეში მოჭრილი ხეების დასაყადაღებლად; განძრახვა ჰქონდათ ნაკაშიძეებისათვის ტყის ჩამორთმევა, ვითარცა ხაზინის საკუთრებისა. ნაკაშიძეების მამულის გამგებელი ბ. იონოშას არ დაემორჩილა და მიაყენა მას შეურაცყოფა მოქმედებით. ამისათვის მამულის გამგებელი მიეცა პასუხის გებაში, და სასამართლომ გარდაუწყვიტა ერთი წლის დატუსაღება და ზოგიერთა უფლებათა ჩამორთმევა. დავა ნაკაშიძეების და მთავრობის შორის დიდ-ხანს არ დაბოლოვდება და ბევრს ხარჯს მოითხოვს ორთავეს მხრით. ტყე კი, როგორც ყოველისფრიდამ სჩანს, სრული საკუთრებაა თ. ნაკაშიძეებისა; ამ უკანასკნელთ გარდა, დროებითი ვალდებულნი გლეხ-კაცნი, რომლებსაც სხვა-და-სხვა დროს შეუძენიათ ნაკაშიძეებისაგან ტყის რაოდენიმე ნაწილი ნასყიდობის ქაღალდით, იძულებულნი შეიქმნებიან სასამართლოების იატაკი სტკეპნონ. იმედია, რომ ტყის მეპატრონეები როდესმე აღადგენენ თავიანთს უფლებას, მაგრამ ვინ იცის—როდის; ნათქვამია: სანამ პაელე მოვიდაო, პეტრეს ტყავი გააძვრესო.

წერილის ბოლოს ავტორი გვიამბობს, თუ როგორ მიუხტა გურიის ტყეების მოხელე მორდანოვი რაოდენიმე მემამულეთ ტყის და სახნავ-სათესი ადგილების ჩამოსართმევად. ამ შემთხვევაში დავა გათავდა მემამულეთ სასარგებლოდ. მორდანოვის მოადგილე, ბ. ქიქოძე, დაიარაღებული მიუხდა სხვა მემამულეთ საკუთარს ტყეში; სცემა ტყეში მყოფთ და, დაანგრია ერთი სადგომი სახლი. მეპატრონეთა სასიამოვნოდ სასამართლომ აღადგინა მათი უფლება. ამ ჟამად განძრახვა აქვთ ჩამოართვან სხვა-და-სხვა მემამულეთ ათიოდე ტყე; ზოგიერთნი მათგანი უკვე მიუღია ხაზინას: მაგალითად, მიღებულ იქმნენ ამ მოკლე ხანში ტყეები გლეხთა ეპრალიძეებისა, აზ. ჟორდანიათა; გურიელებისა, ერისთავისა და აზნ. თაქაიშვილების მამულებსაც მოკლე მომავალში ჩააბარებენ ხაზინას.

როგორც სჩანს ზემოთ მოყვანილი ცნობებიდგან, ზოგიერთნი ერთობ ხშირად და უსაბუთოდ უცხადებენ დავას კერძო მემამულეთ და შეჰყავთ იგინი დიდს ზარალში. ამ მემამულეთ შველიან მხოლოდ სასამართლო და კანონი.

სწორედ გასაკვირველია ზოგიერთების უსაფუძვლო გულ-მოდგინება, და სასურველია, რომ ბოლო მოელოს ამ გვარ წესებს, რომლებიც ხელს უშლიან ტყის საქმის წარმატებას ჩვენში. იქ ზოგიერთებმა უნდა შეიგნონ, რომ ხაზინას არა აქვს საგნად გაალატაკოს მემამულეები სრული და კანონიერი საკუთრების ჩამორთმევით.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სახელმწიფო ქონებათა მინისტრი, რომელმაც თავის აქ მყოფობის დროს განსაკუთრებითი ყურადღება მიაქცია ტყის საქმეს, მხედველობაში მიიღებს მის ვითარებას...

## შინაური ქრონიკა

≈ მკითხველებს ეხსომებათ, რომ ნავთის უადგილო ალაგას შენახვის გამო სოფელს ქარელს ერთი დიდი უბანი გადეწვა და კინაღამ მთელი სოფელი ცეცხლმა არ გადასწვა. ამ გვარივე მიზეზით თ. რევაზ ამირეჯიბს ს. ავლევს, ზემო-ქართლში, მთელი სახლები გადასწვია ყოველივე ავეჯეულობით, ისე რომ სრულებით ვეღარა მოურჩენიათ-რა. ნავთის ბოჩკა თურმე ყავრულში ჰქონიათ შენახული და ბუხრიდამ ცეცხლი გაფიცხებულ ნავთზე გადასულა; სახლები ხისა ყოფილა და რაკი სოფლის მოშორებითა მდგარა, ხალხს საშველად ვეღარ მიუსწვრია.

ნავთის გაიაფება თუმცა ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ გაიაფებულს საქონელს ხმარებაც კარგი უნდა, თორემ შეიძლება ამ გვარი შემთხვევა, როგორიც ს. ქარელსა და ავლევში მოხდა, სხვაგანაც განმეორდეს.

≈ ჩვენ გვატყობინებენ, რომ რკინის გზის ვაგონებზე კონდუქტორებისათვის ისეთი საჯდომები მოუწყვიათ, რომ კაცს თუ წასთვლიმა, გადმოუვარდნელი ძნელად გადარჩებაო; ეს არისო, სხვათა შორის, მიზეზი, რომ ამ დღეებში კონდუქტორი ზახაროვი გადმოვარდა ვაგონიდამ და მატარებელმა სრულიად დაასახიჩრაო. კარგი იქნებაო, რომ რკინის გზის ადმინისტრაცია მიაქცევდეს ამ საგანს ყურადღებას და იმისთანა საჯდომებს აღარ აკეთებდეს, რომლებზედაც უძილობისაგან ღონე წართმეულ კონდუქტორებს ზედ თოკებით დაბმა სჭირდებოდეთო.

≈ აი ერთი მაგალითი ქურდობის გავრცელებისა ჩვენში. ამას წინად ერთს შეძლებულ ქსნის-ხეველს კაცს გზაში შეშით დადებული ურემი სდგმია. მისულან ქურდები, გამოურეკიათ მოზვრები ბოსლიდამ, შეუბამთ იმისავე ურემში, ჩაუტანიათ გორში, შეშა გაუყიდნიათ და ურემი შინ წაუღიათ. ურმისა და მოზვრების პატრონს მთხრობელი ოსი გამოსჩენია და უთქვამს—სამი თუმანი მომეცი და ქურდს მე გიპოვნიო. გლეხკაცი არა ნდობია და უთქვამს: აი სამს თუმანს თან წამოვიღებ, ქურდი მაჩვენე და მაშინვე მიიღებო. შეუკაზმავს ცხენი, ხურჯინში საგძალი ჩაულაგებია და გასდგომიან გზასა. მთხრობელს ოსს ერთს გადაკარგულ ოსების სოფელში მიუყვანია ერთის სახლის კარებზედ; მოუხსნია ხურჯინი, შინ შეუტანია და უთქვამს—ეს ჩემი სახლია, პატარა მომიცადე და ქურდის კვალს მალე მიგაგნებინებო. გლეხ-კაცს დიდ-ხანს ულოდნია და რომ აღარავინ მისულა, გარეთ გაუხედნია და ცხენი თავის უნაგირით აღარ დახვედრია; შებრუნებულა შინ და ტახტზე დადებული ხურჯინიც სადღაც გამქრალა.... თქვენ წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში ჩავარდებოდა საბრალო კაცი უცხენოდ, უსაგძლოდ, უცხო ოსების სოფელში გადაკარგული; მასუკან აღმოჩენილა, რომ მთხრობელი თურმე სრულიად ამ სოფლის მცხოვრები არ იყო.

≈ «კავკაზს» შეუტყვია, რომ კრესელიძის მამულში, თბილისიდამ 35 ვერსზე გამოჩენილა სხვა-და-სხვა მინერალები, რომელთაც ფერადებისთვის ხმარობენ. აქამდის ეს მინერალები რუსეთიდამ მოჰქონდათ, მაგრამ ეხლა, თუ

---

ჩემსა და ყოველისფერს შუა, რაც კი მე მიყვარდა. მე მაგონდება ეხლა ბედნიერი წამები, რომელიც მარგარიტასთან გავატარე ცოლ-ქმრობის პირველ თვეებში, როდესაც იგი იწვა ღამე ჩემ გვერდით და როდესაც ვფიქრობდი მასზე და ვოცნებობდი მომავალზე,—მოლოდინი აუცილებელი განშორებისა სწამლავდა ჩემს სიხარულს და აქარწყლებდა ჩემს იმედებს. უნდა განვშორდეთ, ვფიქრობდი, ერთმანეთს, შეიძლება ხვალ, შეიძლება ერთი საათის შემდეგ. მე ვეცემოდი სულით, მე ვკითხავდი ჩემს თავს, რა საჭიროა ბედნიერება ორთათვის, თუ ეს ბედნიერება უნდა დაბოლოვდეს ესეთი საშინელი განშორებით? მაშინ ჩემი აზრი და გამოხატულება მოიფინებოდა ხოლმე წყვდიადით. ნეტავი, ვინ ვის მიატოვებს პირველი: მე მას, თუ იგი მე? ამ ნაირი მოსაზრებანი მომგვრიდენ ხოლმე ცრემლებს და მიხატავდენ თვალ წინ სურათებს ჩვენი სიცოცხლისას. ჩემი ცხოვრების საუკეთესო დროებში მე მქონდა უეცარი მოწყენილობა და არ იყო კაცი, რომელსაც შესძლებოდა გაეგო, თუ რა იყო მისი მიზეზი.

ყველას უკვირდა, რომ მე ვიყავი მოწყენილი მაშინაც, როდესაც ჩემს წილად გამოერეოდა რაიმე ბედნიერი შემთხვევა. მიზეზი კი ამისი ის იყო, რომ ჩემი სიხარული უეცრად იფანტებოდა ჩემს არარაობაზე ფიქრით. საშინელი კითხვა: «რისთვის არის ეს საჭირო?» ტირილის ზარივით ზუზუნებდა ჩემს ყურებში. მაგრამ ყველაზე უფრო ცუდი ამ ტანჯვაში ის იყო, რომ მე ვიტანდი მას იდუმალი სირცხვილით. ვის გამოვუტყდები, აბა, ამ გვარს ტანჯვაში. ხშირად, უსათუოდ, ერთად მწოლარე ცოლ-ქმარი ჰკრთებიან შიშისაგან ჩემსავით, როცა სანთელი გამქრალია და როცა არც ერთი მათგანი არ ლაპარაკობს, რადგანაც სიტყვა «სიკვდილი» ისე ერიდებათ წარმოსათქმელად, როგორც სხვა რაიმე უშვერი სიტყვა; ისე ეშინიათ ხოლმე, რომ არც კი უნდათ ახსენონ მისი სახელი.

მე ვფიქრობდი ამ საგნებზე და ჩემი ძვირფასი მარგარიტა კი განაგრძობდა ტირილს. ჩემთვის მეტად სამწუხარო იყო, რომ არ შემეძლო დამემშვიდებინა მისი ჯავრი და დამერწმუნებინა იგი, რომ არ ვიტანჯები-მეთქი. მართლა, თუ სიკვდილი სხვა არაფერია, თუ არ ეს უგრძნობლობა სხეულისა, მე სრულიად უმიზეზოდ მეშინოდა მისი. ეს აზრი ემსგავსებოდა თვითმოყვარეობითს კმაყოფილებას, მოსვენებას, რომლის გამო ჩემი ტანჯვანი მავიწყდებოდენ.

განსაკუთრებით ჩემს მეხსიერებას დაეტყო არა ჩვეულებრივი სიცხოველე. მთელი ჩემი სიცოცხლე ნათლივ იდგა ჩემ წინ. ეს იყო მსგავსი რაიმე სანახავისა, რომელშიაც თითქო მე თვითონ არავითარი კერძო ინტერესი არა მქონდა.

გასაოცარი, ახირებული გრძნობაა; მე მართობდა იგი ისე, თითქო რაიმე შორეული ხმა მომითხრობდა ჩემს საკუთარ ისტორიას.

პირიაკის გზაზე, ზერანდის ახლო, არის ერთი მიყრუებული კუთხე, რომლის მოგონება მოსვენებას არ მაძლევდა. გზა მიხვეულ-მოხვეულია, პატარა ფიჭვის ტყე ოღრო-ჩოღროდ ჩასცურავს კლდოვან ფერდოზე. როცა მე შვიდი წლისა ვიყავი, მე და მამა ჩემი ხშირად დავდიოდით ხოლმე კვერების საჭმელად მარგარიტას მშობლებთან—უბრალო მუშებთან, რომელნიც ვაი-ვაგლახით შოულობდენ ლუკმა-პურს მარილის ვაჭრობით. მერე წარმომიდგებოდა თვალწინ ნანტის პოლეჟი, სადაც გავიზარდე ოთხ გულის-შემხუთველ კედლებ შუა და მუდამ გატაცებული ვიყავი ტკბილი სურვილით—ერთხელ მაინც კიდევ დამენახა ფართო ჰორიზონტი ზერანდისა, სადაც ქალაქიდამ დაწყებული თვალუწვდენელად იშლებიან ტბიანი მინდვრები და სადაც მათ შემდეგ ცის ლურჯი კამარა სარკესავით იხატება განუსაზღვრელ ზღვის სივრცეში.

ამ მოგონებათა შორის უეცრად თითქო იხსნებოდა შავი უფსკრული: მამა ჩემი მოკვდა და მე დავიწყე სამსახური ლაზარეთში. აქედამ დაწყებული გაჭიანურდა ჩემი ერთფეროვანი ცხოვრება, რომელშიაც ერთად-ერთს სიხარულს შეადგენდა ჩემგან კვირაობით იმ ძველი სახლის მონახვა, რომელზედაც ზემოთ მოგახსენეთ. იქაც საქმე სულ უფრო-და-უფრო ცუდად მიდიოდა: მარილმა იკლო და მთელი ის კუთხე ჩავარდა უუკიდურესს სიღარიბეში. მარგარიტა მაშინ ჯერ სულ ბავშვი იყო. მას ვუყვარდი მე, რადგანაც ხშირად დამყავდა ხოლმე პატარა ურმით. მაგრამ მერე, სწორედ იმ დილას, როცა მე ის ვითხოვე, შეწუხებულ სახეზე შევატყე კარგად, რომ საზიზღარი ვეჩვენებოდი, მშობლებმა კი დაუყოვნებლივ მომათხოვეს; ეს მათ ცოტაოდენ შეღავათს აძლევდა. იგი, რასაკვირველია დაემორჩილა თავის ბედს და უარი აღარ მითხრა, რაკი შეეჩვია აზრს, რომ ჩემი ცოლობა არ ასცილდებოდა, როდილა ამჟღავნებდა თავის უკმაყოფილებას. მახსოვს კარგად, რომ ჩემი ქორწილის დღეს ზერანდში მოდიოდა საშინელი წვიმა და როცა

მუშაობას ხელი მიჰყვეს, შეიძლება აქვე ვიქონიოთ.

— იმავე გაზეთის აცნობებენ ოზურგეთიდამ, რომ იქ დაწყებულა გამოძიება შესახებ ყალბი ბილეთების გავრცელებისა და საზოგადოება ამ საქმეს დიდი გულმოდგინებით უგდებს ყურსა.

## წერილი რედაქტორთან.

ბატონო რედაქტორო!

მამა გრიგოლ მაჭარაძის და სხვებთათვის სასცნობლად, გთხოვთ ამ წერილს ადგილი მისცეთ თქვენს გაზეთს «დროებაში».

უკანასკნელს შეკრებილებაზედ მრავალთა სამღვდელოთა პირთა განაცხადეს სურვილი იდღესასწაულონ ჩვენი ყოვლად-უსამღვდელოესის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ოც-და-ხუთი წლის სამსახურის იუბილეი. ოც-და-ხუთი წელიწადი ეპისკოპოსობის ხარისხზე მსახურებისა შეუსრულდება მას ექვსს ამა დეკემბერს. რადგან დრო ძლიერ დახლოვებულია, დღესასწაულობა ამ დღეს ვერ მოხერხდება, მით უფრო რომ ამისთანა დღესასწაულობა მთავრობის ნებადაურთველად არ მოხდება, და ამ ნებადართვის მიღება ასე მალე არ შეიძლება. ამისათვის განზრახვა აქვთ მრავალთა პირთა ამოირჩიონ დანდობილი პირები და გაგზავნონ ქუთაისში ექვსს დეკემბრისათვის, როგორც მისალოცავად, აგრეთვე ნების გამოსათხოვად, რომ იუბილეი იდღესასწაულონ და ეპისკოპოსის გაბრიელის სახელობაზე სტიპენდიები დააწესონ ქუთაისის მომავალ სასულიერო სემინარიაში და თბილისის საეპარქიო ქალების სასწავლებელში. ამის გამო შემდეგისათვის იქნება გამოცხადებული დრო იუბილეის დღესასწაულობისა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, ყველანი მოხარულნი იქნებიან ამ დღესასწაულობისა და მხურვალე მონაწილეობასაც მიიღებენ.

თავმჯდომარე სამღვდელოების ყრილობისა მ. დ. ღამბაშიძე.

## რუსეთი

— მომავალს 1884-ს წელს აპირობენ სამხედრო სამსახურისათვის 218000 კაცის გამოყვანას; ამ საქმისათვის ითხოვეს ხაზინისაგან 2,900,000 მან. კრედიტი.

— ქალების საექიმო და პედაგოგიურის კურსების დამხმარებელს საზოგადოებისათვის ბევრი ფული შეუწირავთ; სხვათა-შორის ტიუტჩევის ქვრივს ანდერძით გარდაუცია ამ საზოგადოებისათვის 6,000 მანეთი.

— როგორც იწერებიან, მომავალს წელს მოხდება განკარგულება, რომელსაც დიდი მნიშვნელობა ექნება მთელს ჩინოვნიკობისათვის. ეხლანდელი კანონების ძალით მთამამავლობითი აზნაურობა ეძლევა სახელმწიფო სამსახურში მყოფთ, როცა დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის ჩინს, ან ვლადიმირის მეოთხე ხარისხის ორდენს დაიმსახურებენ; ეს უპირატესობა, რომელიც ეძლეოდათ სამსახურში მყოფთ პირთა და იყო მიზეზი გავრცელებისა რუსეთში სამსახურით შეძენილი აზნაურობისა, უნდა მოისპოსო მომავალი წლიდგან; ამის შემდეგ აზნაურობის ხარისხით თვით ხელმწიფე დააჯილდოებსო; როგორც უცხო სახელმწიფოებში, აზნაურობა ებოძება ჯილდოთ მხოლოდ განსაკუთრებითი და შესამჩნევი დამსახურებისათვის სახელმწიფოს წინაშე.

— ამ მოკლე დროში ბერლინში მიუტანიათ კურიერის მატარებელით აუარებელი ოქროს ფული (14,000,000 მარ.). ეს ფულები იყო დანიშნული ერთის დიდის ბანკისათვის. მათი დანიშნულება დიდს საიდუმლოებას შეადგენს, ოქროთი სავსე ყუთებს თან ახლდათ ერთი რუსეთის სტატსკი სოვეტნიკი და ორი კურიერი სახელმწიფო ბანკისა.

## უცხოეთი

— ბერლინის დიპლომატიური წრეები ამტკიცებენ, ვითომც გერმანია, რუსეთი, ჩრდილოეთის შეერთებული შტატები და ინგლისი ფიქრობდენ რამე ნაირად ომი აცილონ თავიდამ ჩინეთსა და საფრანგეთს.

— ერთს ნემეცურს გაზეთში იწერებიან, ვითომც ეს რამდენიმე წელიწადია, რაც პრუსიის ჯარის ოფიცრები გულ-მოდგინედ სწავლობენ რუსულ ენას. რკინის გზების ბატალიონებიც ამ დღეებში შესდგომიან თურმე რუსული ენის შესწავლას; აგრეთვე ასწავლიან ამ ენას სამოქალაქო სასწავლებლების მასწავლებლებსაც. იგივე გაზეთი ამბობს, რომ ორმოცდა-ათის წლის წინათაც ასევე ბეჯითად სწავლობდენ რუსულ ენას პრუსიის ჯარები, როდესაც ემზადებოდენ 1835 წლის რუსეთთან ომისათვისაო.

## არითმეტიკის ტერმინები.

Равенство — თანაბრობა, თანასწორობა.

Крайніе — ნაპირა, განაპირა, განკიდული, ნაკიდური.

Тождество — ცხადი თანაბრობა, ტოლობა.

Средніе — საშუალო, შუალი, შუა, შუათანა.

Свойство — თვისება.

Производныя пропорціи — ნაწარმოები, წარმოებითი, შემდგარი.

Неизвѣстное — გამოსაცნობი, უცნობი, საცნობი, გამოსარკვევი, საძიებელი, საპოვნელი, საპოვნი.

Тройное правило — სამკეცი, სამეული, სამიანი, სამობითი, სამადი, სამთა წესი.

Пропорціональность — პროპორციობა, სიპროპორციონე, საპროპორციე.

Процентъ — სარგებელი, ნაზარდი, პროცენტი.

Правило процентовъ — საპროცენტო, პროცენტების წესი.

Вексель — თამასუქი.

Учетъ векселя — თამასუქის გამოთვლა.

Правило товарищества или

---

შინ დავბრუნდით, ჩემმა ცოლმა გაიძრო დასველებული ტანისამოსი და იუბკის ამარა დარჩა.

აი სრულიად მთელი ჩემი ახალგაზრდობა. ჯერ ჩვენ იქა ვცხოვრობდით. მერე ერთხელ მივედი სახლში და ვნახე, რომ ჩემი ცოლი მწარე ცრემლითა ჰსტიროდა; ის სულ მოწყენილი იყო და უნდოდა სოფლიდამ სადმე წასულიყო. ექვსის თვის შემდეგ მე შევაგროვე ცოტა ფული კერძო მუშაობით და ერთი ძველი მეგობრის წყალობით ვიშოვე ადგილი პარიჟში, სადაც წამოვიყვანე ჩემი საყვარელი ცოლიც, რომ ეგებ ეხლა მაინც არ მენახა მისი ცრემლები. ვაგონში ის ძალიან მხიარული იყო. რადგანაც მესამე კლასში სკამები მეტის-მეტად მაგარი საწოლია, მე დავისვი ჩემი ცოლი მუხლებზე, რომ უკეთესად დასძინებოდა.

აი სრული ჩემი წარსული. ეხლა კი მე მოვკვდი სასტუმროს ვიწრო ლოგინზე, რომლის წინ, აგურის იატაკზე, ჩემი ცოლი მუხლ-მოდრეკილი სდგას და სტირის. თეთრი ლაქა, რომელსაც მე ვხედავდი მარცხენა თვალით, უფრო-და-უფრო ბნელდებოდა; მაგრამ მე ძლიერ კარგად მახსოვდა ოთახი. მარცხნივ კამოდი იდგა, მარჯვნივ ბუხარი იყო; მასზედ მოშლილი საათი, რომლის ისრები ათს საათს და ექვს წამს აჩვენებდენ. ფანჯარა გადიოდა დოფინის ვიწრო და ბნელ ქუჩაში. თითქმის მთელი პარიჟის მცხოვრებლები დადიან ამ ქუჩაზე და მერე იმისთანა ხმაურობით, რომ ფანჯრებში შუშის ზრიალი მესმის.

პარიჟში არავის არ ვიცნობდით. ჩვენ დავაჩქარეთ ცოტა გამომგზავრება, ასე რომ ჩემ ადგილზე სამსახურში მე მელოდენ მომავალ ორშაბათს. მას აქეთ, რაც ჩვენ ჩამოვედით, მე მაწუხებდა ერთგვარი აჩირებული გრძნობა, რომელსაც მე ჩვენი ოთახის ოთხ კედელ შუა გამომწყვდევას ვაბრალებ. თხუთმეტი საათის მსვლელობის შემდეგ რკინის გზით, ჩვენ კიდევ არ მოვსულვართ ჯერ გონზე და აქ კი ქუჩის ხმაურობამ ხომ სულ გამოგვაყრუვა. ცოლი, რაც შეეძლო, მოიელოდა ნაზი ღიმილით; მაგრამ მე მაშინაც ვატყობდი, რომ თითქო ცოტათი რცხვენოდა, ხანდახან მივიდოდა ფანჯარასთან, გაიხედავდა ქუჩაზე და გამობრუნებდა ისევ პირს ფერმკრთალი, შეშინებული უზარ-მაზარი პარიჟით, რომელსაც ის სრულიად ვერ იცნობდა და რომელიც აშინებდა თავის ხმაურობით. რა უნდა დაემართოს ამ საბრალოს, თუ მე სრულებით აღარ გამომელვიძა? რა უნდა ჰქნას ამ ვეება ქალაქში? ხომ მარტო დარჩა, უმეშველოთ და მერე კიდევ ისე გამოუცდელი.

მარგარიტამ წამავლო ხელი-ხელს, ის უძრავად დაჩრდნობილი იყო საწოლზე; მკოცნიდა ხელზედ და, როგორც შეშლილი, იმეორებდა.

— ოლივიე, გამეცი ერთი ხმა!.. ღმერთო ჩემო! მოჰკვდა! მოჰკვდა!

მაშ სიკვდილი სრული არარაობა არა ჰყოფილა, თუ კი მე მესმოდა და შემეძლო ჰსჯა. მე კი ბავშობიდამვე მაშინებდა. მე არ შემეძლო წარმომედგინა სრული ჩემი გაჰქრობა, გაქარწყლება იმისი, რაც ვიყავი მე და მერე სამუდამოდ, საუკუნოდ, უიმედოდ, რომ კვლავ ოდესმე შემძლებიყო გამხდარიყავი ის, რაც ვიყავი უწინ.

მე ვკრთებოდი ხოლმე, როდესაც ხანდახან ამოვიკითხავდი გაზეთში მომავალი საუკუნის რომელიმე წელიწადს. მე ვიცოდი, მაშინ აღარ ვიქნებოდი ცოცხალი და ეს მომავალი წელიწადი, რომელსაც მე ვერა ვნახავ და რომელშიაც არ ვიცხოვრებ, ავსებდა ჩემს გულს გამოუთქმელი შიშით. ნეტავი, მთელი ქვეყანა ხომ არა ვარ მე? და ხომ არ დაიმსხვრევა იგი, როცა მე მივატოვებ საუკუნოდ?

მე ყოველთვის ვფიქრობდი, რომ სიკვდილის შემდეგაც შემეძლება ფიქრი სიცოცხლეზე. მაგრამ ჩემი მდგომარეობა უსათუოდ სიკვდილი არ არის. მე უსათუოდ, უნდა გამოვიღვიძო მალე. დიახ; მე მალე ჩვეულებრივად მოვხვევ ისევ ხელს მარგარიტას და მოვხოც თვალზე ცრემლებს. რა გაგვეხარდება მაშინ ხელახლად ერთმანეთის ნახვა! და რ უფრო ძლიერად შევიყვარებთ ერთმანეთს. ერთი ორი დღეს კიდევ დავისვენებ მე და მერე წავალ სამსახურში. სულ ახალი ცხოვრება დაიწყება ჩვენთვის. ის იქნება ბედნიერი და ფართო. მაგრამ ტყუილად იწუხებს მარგარიტა თავს აგრე: მე ჯერ არ შემიძლიან მოვიბრუნო თავი და გავუღიმო მას [illegible].

აი, საცაა კიდევ წამოიძახებს:

— მოკვდა! ვაჰმე, ღმერთო ჩემო! მოკვდა! მე ნელა ვაკოცებ მას და მერე კიდევ უფრო ნელა, სულ ნელა, რომ არ შეეშინდეს, ალერსით ვეტყვი:

— არა, ჩემო სიცოცხლევ! ნუ სწუხარ, მე არ მომკვდარვარ, მე მძინა მხოლოდ. აკი მხედავ თვითონ, რომ მე ცოცხალი ვარ და წინანდელსავით მიყვარხარ.

ილ. ბ—ხ—ც—ძ—ე.

(შემდეგი იქნება)

пропорціональнаго дѣленія—სამხანაგო წესი.

Правило смѣшенія—წესი შერევისა.

# ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

30 ნოემბერს.

მოსკოვი. დღეს დიდის ამბით გახსნეს მინსკის ოლქის სამსჯავრო; ამ დღესასწაულს დაესწრნენ უველა სამოქალაქო და სამხედრო წოდების დიდ-კაცნი, ქალაქის წარმომადგენელნი და სამღვდელოება.

ოდესა. შავის ზღვის და დუნაის ნავოსნობამ თავადი გაგარინისამ ოდესიდამ დუნაის პორტებში ტვირთების გადატანისათვის 30%-ით ნაკლები ტარიფი დააწესა ავსტრიის ნავოსნობის ტარიფზე.

დუბლინი. გუშინ პარნელს 38,000 გირვანქა სტერლინგი მიუტანეს ფეშქაშად ირლანდიისაგან მადლობის ნიშნად იმ ღვაწლისა, რა ღვაწლიც დასდვა მან ირლანდიას; საღამოზე პარნელის პატივსაცემად გამართეს ბანკეტი, რომელზედაც დაესწრნენ საზოგადოებათა პალატის პარნელის მომხრე წევრნი. პარნელი თავის სიტყვაში ცხარედ ჰკიცხავდა ირლანდიის ეხლანდელს გამგეობას და ბოლოს სთქვა, რომ ირლანდიის პარტია მკვიდრი და მტკიცეა და თუ მოთმინებით იქნება, ეროვნობას და დამოუკიდებლობას დაიმკვიდრებსო.

პეტერბურგი, 1-ს დეკემბერს. ამ დღეებში სახელმწიფო რჩევაში გახანოვის რჩევის წევრების ფრიუშისა და ლიუბოშჩინსკისაგან შესდგა საკუთარი კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშავოს პროექტი არზათა მისაღები კომისიის შეცვლის თაობაზე. ამ კომისიის თავ-მჯდომარეთ ტაინი სოვეტნიკი კოვალევსკია დანიშნული.

მალე საყოველთაოდ გამოაცხადებენ 1841 წ. სასულიერო კონსისტორიების წესდებას, რომელიც შეასწორეს თანახმად სახელმწიფო კანონ-დებულებათა.

ლონდონი. აქ პროვინციებში საშინელი გრიგალი იყო; ბევრი ზარალი მოახდინა და რამდენიმე კაცი დალუპა.

ანტვერპენი. შელდა მოდიდდა, ნაპირებიდამ გადმოვიდა და ახლო მდებარე ქუჩები სულ ერთიანად წალეკა.

შეცდომის გასწორება: 242-ში, არითმეტიკის ტერმინების სიაში, დაბეჭდილია: кратныя числа—ტერადი, ტერული, სწორ სწორი,—უნდა იყოს: кратныя гисла числа—ჯერადი, ჯერული, სწორ-სწორი.

# განცხადებანი

Открыта подписка на 1884 годъ

*на политическую и литературную газету*

„ВОСТОКЪ"

(Органъ православныхъ восточныхъ народовъ, издается съ 1879 г. безъ предварительной цензуры).

За годъ съ достав. и пересыл. 8 р.; за полг. 4 р. 50 к.

Для заграничн. подписч. 10 р.; за полг. 5 р.

Подписка принимается въ Москвѣ въ редакціи газеты «Востокъ», у Малаго Каменнаго моста, д. Полякова, въ Одессѣ у И. Ю. Вучина, на Итальянской улицѣ. (5—1)

МУКА А. М. БРОДСКАГО ИЗЪ ОДЕССЫ.

ა. მ. ბროდსკის ფქვილი ოდესიდგან.

უმორჩილესად ვაცნობებ პატივცემულ პუბლიკას, რომ მე ერთად ერთი აგენტი ვარ მთელს კავკასიაში და გავაღე სამუდამო სკლადი ქ. ბათუმში «ოდესის სასტუმროს» ქვეშ.

გარეშე ქალაქებიდამ შეუძლიანთ მიმართონ ზემო-ხსენებულს სკლადს, სადაც ფქვილი იმავ ფასად გაიყიდება, როგორც თვით ოდესაში წისქვილზედა ფასობს, მხოლოდ მოემატება ბათუმში გადასატანი ხარჯი.

ფქვილის თვისებაზედ ბევრს არ ვილაპარაკებ: ამ ფქვილის მაღალი ღირსებამ ყველამ იცის. რაც შეეხება დროზედა და უტყუვრად გაგზანას, ამაში სკლადი კისრულობს პასუხისგებას.

აგენტი სიმ. ვოლფენზონი.

(5—1)

ქუთაისის ქალაქის გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ ცხრამეტს რიცხვს ამა დეკემბრისას გამგეობაში არის დანიშნული ვაჭრობა უპერეტორჟკოთ ქუთაისში ხიდების ბაჟის იჯარით გაცემაზე ორი წლის ვადით პირველი იანვრიდამ 1884 წლისა.

ვისაც ვაჭრობა სურს უნდა წარმოადგინოს უზრუნველ საყოფად ვაჭრობისა ხუთასი მანეთი ნაღდი ანუ ბანკის ბილეთებით. ვაჭრობა იქნება სიტყვიერი და დაბეჭდილი კანვერტებითაც, დაიწყება თორმეტ საათზედა და გათავდება ორს საათზე ნაშუადღევს. კონდიციის გაცნობა შეიძლება გამგეობაში ყოველ-დღივ დილის ცხრა საათიდამ ნაშუადღევის პირველ საათამდი. ნოემბრის დღესა 1883 წელსა ქ. ქუთაისი. (3—2)

ინგლისის მაღაზიაში

თმის-აღმომყვანი

ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშის 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.



მაკ-მასტერი

აქვე იყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სიროფები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

(100—69)

СЪ 1-го ЯНВАРЯ 1884 ГОДА

ВЪ ТИФЛИСѢ БУДЕТЪ ИЗДАВАТЬСЯ

НОВАЯ ЕЖЕДНЕВНАЯ (350 НУМЕРОВЪ ВЪ ГОДЪ) ЛИТЕРАТУРНО-ПОЛИТИЧЕСКАЯ

ГАЗЕТА

„НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ"

подъ редакціею А. В. СТЕПАНОВА (бывш. редакторъ «Юрид. Обозр.»)

Объемъ газеты—печатный листъ средняго формата; программа—общая всѣмъ литературно-политическимъ ежедневнымъ изданіямъ.

Подписная цѣна съ пересылкою и доставкою: на годъ—10 руб.; на 6 мѣс.—6 р., на 3 мѣс.—3 р. 50 к., на 1 мѣс.—1 р. 50 к.

Подписка (городская и иногородная) и объявленія (по 5 коп. за строку петита) принимаются въ Тифлисѣ исключительно въ Газетномъ Агентствѣ В. Шавердова; въ С.-Петербургѣ-же и Москвѣ—въ книжныхъ магазинахъ «Новаго Времени».

Временное (до 15-го декабря) помѣщеніе редакціи: Давидовская ул., д. Кананова, квартира редактора.

За газетой обезпечено постоянное сотрудничество: кн. К. А. Бебутова, Вс. М. Гаршина, П. А. Измайлова, С. Н. Кривенко, Н. Я. Николадзе, П. А. Опочинина, А. Н. Плещеева, И. Ф. Тхоржевскаго, Гл. И. Успенскаго, Н. А. Шаврова. (20—8)

მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 დეკემბრიდამ 15 დეკემბრამდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსთის ფქვილისა — | —1 გირ. | 5 კ. | |
| **აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა** — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |
| **იმავე ფქვილ. თონეში გამომცხვარი:** | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| **ჯვარის-მამის პური:** | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — | —1 | გ. | 3 კ. |
| **ძროხის ხორცი:** | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |
| **ღორის ღორცი:** | | | |
| პირველის ხარისხის | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |

## რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდამ ხაშურამდინ
3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდამ ბაქოსკენ
11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდგან თბილისისკენ
10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდგან თბილისისკენ
12 საათზ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდგან ბათუმისა და ფოთისკენ
5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდგან თბილისისკენ
8 საათ. დილისა.
ფოთიდგან თბილისისკენ
8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდამ დ ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
7 საათ. და 49 წამ. დილისა.

*Дозв. цензур. Тифлисъ, 2 Декабря 1883 г.* ქ. ხელაძის სტამბა (*Типографія Е. Хеладзе*). გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.